**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. | — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, | 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, | 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, | — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, | 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, | 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, | — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, | 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, | 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, | 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, | 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, | 50 ,, |

# ივერია

№ 291 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 291

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



განცხადებანი იმ კერძო კაცთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ანუ რომელთაც აქვთ თავიანთი უმთავრესი კანტორები თუ მმართველობანი კავკასიისა და იმიერ-კასპიის მხარეს გარეშე, მიიღებიან მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. ე. მეტცლის და ამხ.-ის განხცადებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ, 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდან მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზედ ორი შაურია სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.

იბეჭდება და სამშაბათს დაურიგდებათ მეორე პრემიათ „ივერიისა“ „აღდგომა“ (Воскресенье), რომანი გრ. ლ. ნ. ტოლსტოისა, იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც 1 თებერვლამდე შემოიტანეს თითო თუმანი.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

**ლ. დ. დონსკოისა**

სამშაბათს, 21 დეკემბერს,

საქველმოქმედო წარმოდგენაა და მთელი შემოსავალი გადაიდება შორეულ-აღმოსავლეთში მოკლულ და დაჭრილ მეომართა ოჯახების სასარგებლოდ.

წარმოდგენილი იქმნება

**ა ი დ ა**

ოპერა 5 მოქმ., მუსიკა ვერდისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი ტულლერი, ბუნაკოვისა და სხვ.; ბ-ნნი რიბაკოვი კომაროვი, გალეცკი, დემიანენკო, ზალინსკი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჟიოვასსი**. პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია**.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. გეცევიჩი.

კაპელმეისტერი ნ. მიკლაშევსკი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

ოთხშაბათს, 22 დეკემბერს,

კასსა «Location»-ის კასირ-ქალის სასარგებლოდ

წარმოდგენილი იქმნება

**ევგენი ონეგინი**

ოპერა 3 მოქმ. და 7 სურ., მუს. ჩაიკოვსკისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად **მანდარინის შვილი**», მუსიკა ც. კიუისა.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების

**გ ა მ გ ე ო ბ ა**

რადგანაც 12 დეკემბერს დანიშნული კრება არ შესდგა წევრთა საკმაო რიცრიცხვის დაუსწრებლობისა გამო, რადგანაც კრება საზოგადოებისა დანიშნულია ხელ მეორედ სამშაბათს, 21 დეკემბერს საღამოს 8 საათზედ სამეურნეო ბანკის დარბაზში 3) და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწრას.

განსახილველი საგნები:

1. ბ. ბ. ზუბალაშვილების შემოწირულების შესახებ.
2. მოხსენება ქართულ თეატრის შესახებ.
3. მოხსენება აღმასრულებელ კომისიათა შესახებ.
4. ხარჯთ-აღრიცხვა მომავალის წლისა.
5. ქ. დრ. რ. მომავალი 25 წლის იუბილეის პროგრამმა.
6. ახალ წევრების არჩევანი.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ყორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** კლისაბედ-ს ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**ვაჩნაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**პ. ს. მუსხელაშვილი**—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 ს., გარდა სამშაბათისა.

**დიასამიძე ალექსანდრე**,—დოროსმელიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

**ალექსი-მესხიშვილი**, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სდოსტაქრო ავადმყოფებს და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევს 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. აზეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**მ ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კკრაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა** 1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**მ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულ გამოკვლევას 5 7 საათ.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардяна*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.


## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

—

პორტ არტური. «ტაიმს»-ის კორესპონდენტს პორტ არტურის შესახებ ულაპარაკნია ერთ იაპონელ პოლკოვნიკთან, რომელიც გენერალ ნოგის ჯარში მსახურობს. პოლკოვნიკს უთქვამს: «პორტ არტურის საერთო შტურმის დროს მის კედლებთან სიკვდილი გულწრფელად მწადიან. ეს მართლაცა და სახელოვანი სიკვდილი იქმნება. კორესპონდენტს უთქვამს, ცოცხალი რომ დარჩეთ, ემჯობინება, რადგან თვენს სამშობლოს უფრო მეტს სარგებლობას მოუტანთო. მაგრამ იაპონელს უპასუხნია: არა, ეგ ეგრე როდია: იაპონიაში ათასები მიცდიან და ჩემს ადგილს სიხარულით დაიჭერენ. თუ მოვკდი, ჩემი შვილები და შვილის შვილები ჩემს სახელს ამაყად მოიხსენებენ. მოიხსენებენ სპეტაკსა და უმწიკვლო სახელს იმ კაცისას, რომელმაც თავის თავი პორტ არტურის აღებას შესწირა. გარწმუნებთ, რომ იაპონიაში პორტ არტურისთანა განთქმული სახელი არაფერს არა ჰქონია. პორტ არტურის აღება საზოგადოებისათვის ეხლანდელ ომის საუკეთესო და უდიდესი მოვლენა იქნება. მთელი იაპონია, დიდი და პატარა ქალაქებისა, დაბებისა და სოფლების მცხოვრებნი მზად არიან არა ჩვეულებრივისა და საარაკო ამბით მიეგებნონ პორტ არტურის აღების ამბავს. მთელი იაპონია ერთ წუთს განათდება ათას ფერის ელექტრონის ლამპებითა და ფარნებით. იაპონიაში არ მოიპოვება არც ერთი მამაკაცი, დედაკაცი და ბავშვიც კი, რომელმაც წინდაწინვე მომზადებული ფარანი არ აიღოს და არ შეუერთდეს იმ რამდენიმე მილიონ კაცს, რომელთა «ბანზაი-ს ყვირილი მთელს იაპონიას ქარიშხალივითა და გვრგვინვა-ჯექა-ქუხილით მოედება. ყველაფერი წინდაწინვე მომზადებულია. ყველამ იცის თავის გზა, თავის საქმე და თავის დასი. პორტ არტური ჩვენთვის ციხე კი არა, სიმვოლია; სიმვოლი ჩვენის უპირატესობისა. ეს იაპონიის ყველა აფიცერმა და ჯარის კაცმა იცის (კავ.)

—

ჩიფუდგან «დეილ. ტელ.»-ს ატყობინებენ: იაპონელები პორტ არტურის მომავალ შტურმისთვის დიდ სამზადისში არიან. დალნიში მრავალის გემით ზარბაზნები, სამხედრო მასალა და სურსათი მოაქვთ. 2 დეკემბერს იაპონელებმა მტრედის ყურეში ჯარი გადმოსხეს. ჯარმა შუშიანთან გაიარა და 200 ზარბაზნით იძუშანისა და სხვა ფორტებს ყუმბარა დაუშინა. რუსებმა რამდენიმე მოწინავე პოზიცია დასტოვეს და უკან დაიხიეს (რ. ვ.).

—

ბელგიური გაზეთი «ინდ. ბელ.» დიდ ყურადღებას აქცევს იმას, რომ გენერალმა ნოგიმ უცხო სახელმწიფოთა სამხედრო აგენტები თავის მთავარ ბანაკში მოიწვია. აქედგან სჩანს,—ამბობს გაზეთი,—რომ იაპონელებმა ამ ახლო ხანში პორტ არტურის აღება გადასწყვიტეს (ნ.).

—

**იაპონელები როჟესტვენსკის ფლოტის დასახვედრად ემზადებიან.** გაზეთ «დეილ მელ»-ს სინგაპურიდგან ატყობინებენ: იაპონიის ადმირალის ურიუს ესკადრას ბაზა და თავშესაფარი ფორმოზის კუნძულწედ აქვსო. ადმირალს ურიუს მრავალი ნაღმოსანი და კონტრ ნაღმოსანი აქვს. კონტრ ნაღმოსნები კუნძულ იავასთან ივლიან და იმ გემების დაჭერას ეცდებიან, რომელნიც როჟესტვენსკის ესკადრას ნახშირს უმზადებენ. სინგაპურში მოვიდა რამდენიმე კაცი და გემის დაქირავება უნდოდათ, რათა როჟესტვენსკისთვის როგორმე შეეტყობინებინათ, რომ ნახშირით დატვირთულმა გემებმა მოსაცდელად წინდაწინვე აღნიშნული ადგილი უნდა გამოიცვალონო, რადგან იაპონელებს ამ გემების დაჭერა უნდათო. ამ კაცებს პოლიცია თვალ-ყურს ადევნებს (რ. ვ.).

—

„დეილ მელ“-ის კორესპონდენტი იუწყება: სავაჭრო გემები „ნიპონ“-ი და «გონკონგმარუ» იაპონელებმა კრეისერებად გადააქციეს და ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრის დასახვედრად გაგზავნეს. გემებს თან მრავალი ნაღმი მიაქვთ. ეს ნაღმები იმ ადგილებში უნდა გაჰფანტონ, სადაც როჟესტვენსკის ესკადრამ უნდა გაიაროს (რ. ვ.).

—

«ფრანკ. გაზ.»-ი სწერს: იაპონელები, რასაკვირველია, დარწმუნებულნი არიან, რომ ადმირალი ტოგო როჟესტვენსკის ფლოტს გაანადგურებს, მაგრამ ისიც იციან, რომ იაპონელებსაც დიდი ზარალი მოუვათ (რ. ვ.).

—

როგორც ამბობენ, ადმირალ როჟესტვენსკის მოსატყუებლად იაპონელებმა თავიანთ კანდელებსა და სანაპირო ფარნებს ადგილი გამოუცვალესო. (რ. ვ.).

—

**ადმირალ ტოგოს დახვედრა ტოკიოში.** „ტაიმს“-ს ტოკიოდგან ატყობინებენ, რომ იაპონიის იმპერატორმა ადმირალი ტოგო ტოკიოში მიიწვია. ტოკიოს მცხოვრებნი ტოგოს დიდის ამბით უპირობენ დახვედრას. იაპონელები ეხლა ტოგოს აღმერთებენ. ყველა ამბობს, რომ 10 თვის განმავლობაში ადმირალი ტოგო თავის მოვალეობას უმწიკვლოდ ასრულებდა და იაპონიის ფლოტს ერთი უდიდესი და ძნელი საქმე შეასრულებინა: ტოგოს ცალკე პორტ არტურის ესკადრა უნდა დაემარცხებინა და უეჭველად გაენადგურებინა, მეორე მხრით კი თავის ფლოტს ისე უნდა გაფრთხილებოდა, რომ როჟესტვენსკის ესკადრასთან ბრძოლა შესძლებოდა. ორივე საქმე ადმირალმა ტოგომ ბრწყინვალედ შეასრულა. ეხლა იმის ფლოტი მშვენიერ ყოფაშია და 46 საბრძოლველი გემი აქვს (ბ. ი.).

—

როგორც დეპეშებიდგან ვიცით, ადმირალი ტოგო და კამიმურა ტოკიოში მივიდნენ, მაგრამ ქალაქის მიერ მათთვის გამართულ ნადიმზე დასწრება არ ისურვეს, რადგან, როგორც ადმირალმა ტოგომ სთქვა, ნადიმების დრო ჯერ არ დამდგარაო.

—

**კორესპონდენტის წერილიდგან.** გერმანულ გაზეთის «ფრანკ. ცეიტ.»-ის კორესპონდენტი ტოკიოდგან, სხვათა შორის, იწერება: საზოგადოთ შევნიშნე, რომ ყველა იაპონელი სიკვდილს გულგრილად ეგებება. ამ ცოტა ხანში სამხედრო სასწავლებლის ერთ მოსწავლეს ომის შესახებ ველაპარაკე და, სხვათა შორის, უთხარი, ადვილი შესაძლებელია იაპონია დამარცხდეს მეთქი- მოსწავლემ გაიცინა და ამაყად მითხრა: „იაპონელი დაუმარცხებელია!“ მე უთხარი, ეგ უგუნურებაა, რადგან ერთ იაპონელს ხუთი რუსის დამარცხება ხომ არ შეუძლიან მეთქი. «დამარცხება თუ არა, სიკვდილი ხომ შეუძლიან»—მიპასუხა მოსწავლემ. ასე ფიქრობს იაპონელთა უმეტესი ნაწილი. ამიტომაა, რომ იაპონელი იშვიათად ნებდება თავის მტერს. ჩვენ, ევროპიელებს,—ამბობს კორესპონდენტი,—ომის შესახებ სხვა რწმენა და შეხედულება გვაქვს და გვგონია, სტესსელმა რომ პორტ არტური იაპონელებს ჩააბაროს, ძალიან კარგს იზამს, რადგან ჰუმანიურადაც მოიქცევა და ხალხსაც უნაყოფოდ არ გასწყვეტს (პ. ვ.).

—

**ბიერნსონის წერილი ომის შესახებ.** გამოჩენილი ნორვეგიელი მწერალი ომის წინააღმდეგ ამხედრდა და ყველა პარლამენტს ურჩია, თქვენს მთავრობას მოსთხოვეთ, რომ რუსეთ-იაპონიის ომი შეაჩერონო. ბიერნსონი მშვიდობიანობის მომხრეთა მაგვარად ლაპარაკობს, საშინელ სისხლის ღვრის წინააღმდეგ ბრძოლას ქადაგობს და ამბობს, რომ მებრძოლნი გაველურდნენ და ეხლანდელი ომი უღლად დააწვა მშრომელ ხალხსაო. საზოგადოთ ომი საშინელებაა,—სწერს ბიერნსონი—რუსეთ-იაპონიის ეხლანდელი ომი მით უფრო სიმხეცეა, რომ ბრძოლა იმ ჩინელთა მიწა წყალზედ ჰხდება, რომელნიც არაფრით დამნაშავე არ არიან. ტყვილად ამბობენ, ვითომ ზარალი მხოლოდ მებრძოლთ მოსდითო; ეკონომიური ზარალი მთელ ქვეყანას მოსდის. მაშასადამე, ტყუილია, ვინც ამბობს, რომ ომის მოსპობის საშუამდგომლოდ საფუძველი არა გვაქვსო. პირ-იქით, აი სწორედ ეხლაა საქმეში ჩარევისა და მშვიდობიანობის აღდგენის დრო, რადგან იაპონელებმა პორტ არტურთან ძალიან გაიმარჯვეს. უეჭველია მკითხავენ: მერე რუსეთი? განა ამისთვის რუსეთის თანხმობა კი არ არის საჭიროო? არც რუსეთისა და არც იაპონიის თანხმობა არ არის საჭირო. ყველამ რომ ნეიტრალიტეტი კარგად დაიცვას, საქმე თავის თავად გათავდება. თუ მებრძოლთ აღარც ფულს ასესხებენ და აღარც სურსათს, აღარც ნახშირსა და აღარც სამხედრო მასალას მისცემენ, ომიც გათავდება და მშვიდობიანობაც მალე დამყარდება. ამ აზრის განხორციელება პარლამენტებს შეუძლიანთ პარლამენტებმა თავიანთ მთავრობას უნდა მოსთხოვონ, რომ ამისთვის საჭირო ზომები იხმარიან (რ. ვ.).

—

**წვრილი ამბები.** ,,ბერლ. ტაგ''-ი სწერს: კუროპატკინი იუწყებოდა, პორტ არტურის მეციხოვნე ჯარმა 203 მეტრიანი გორა უკანვე დაიბრუნაო. ეს მხოლოდ ჩინელების ჭორია. 203 მეტრიანი გორა რუსებს ეხლა აღარც კი სჭირიათ, რადგან ეს გორა ეხლა იაპონელებს გამაგრებული არა აქვთ და იქიდგან მხოლოდ თავიანთ ყუმბარების საქმეს ადევნებენ თვალ-ყურს (რ. ვ.).

—

ამ ათიოდე დღის წინად რუსეთის ზოგიერთა გუბერნიაში ახალი მობილიზაცია მოხდა. ამის შესახებ ინგლისური გაზეთი «ტაიმს»-ი სწერს, რომ ახლად მოწვეულ ჯარის დანიშნულება გაუგებარია, რადგან ეხლა მანჯურიაში კუროპატკინს 400,000 კაცი ჰყავსო (რ. ვ.).

—

«ტაიმს»-ის კორესპონდენდენტი იუწყება: 10 დეკ. პეკინის მახლობლად რკინის გზის სადგურზედ ჩინეთის მთავრობამ 3 მილიონი სხვა და სხვა ნაირი ყუმბარა აღმოაჩინა. ეს მასალა ტიანძინში რუსეთის ერთ სავაჭრო ფირმის სახელობაზედ იყო გაგზავნილი. გაზეთი ამბობს, რომ ეს ყუმბარები პორტ არტურში უნდა გაეგზავნათო. ჩინეთში ეს ტვირთი კალგანის გზით აქლემებით ჩაიტანეს (რ. ვრ.).

—

ამას წინად დეპეშა იუწყებოდა, ვითომ გენერალმა ნოგიმ იაპონიის მთავრობას 60,000 კაცი სთხოვა საშველადაო. გაზეთი «ნ. ფ. პრესსე» სწერს, ეს ნამდვილი სიცრუეა, რადგან ეხლა პორტ არტური ისეთ დღეშია, რომ გენ. ნოგის მაშველი ჯარი სულაც არა სჭირიაო (რ. ვ.).

—

«იაკ. ვედ.»-ი იუწყება, რომ რუსეთ იაპონიის ომის დაწყების ამბავი ქ. პეტროპავლოვსკში (30,000 მცხოვრებია ამ

ქალაქში) 22 აპრილს, ე. ი. სამის თვის შემდეგ მოვიდაო (ნ. ვ.).

—

ამ ცოტა ხანში მანჯურიიდგან რუსეთში გამოგზავნეს სტაროჟინსკი, რომელსაც წითელ ჯვრის ფორმა ჩაიცვა და ხარბინიდგან სამხრეთისაკენ მრავალი ყუთი გაგზავნა. ყუთებზედ წითელი ჯვრის ნიშნები იყო დაკრული და თვითონ სტაროჟინსკიც ამბობდა, ჯარში საექიმო მასალები მიმაქვსო. შემდეგ კა აღმოჩნდა, რომ სტაროჟინსკის ჯარში საექიმო მასალების მაგივრად არაყი მიჰქონდა (რუს. ვედ.).

# ახალი ამბავი

—

ოფიციალური განცხადება. გაზეთ კავკაზ»-ში შემდეგი ოფიციალური განცხადება დაბეჭდილი:

«ოთხშაბათს, 13 დეკემბერს, დილის 6 საათზე, ბაქოს სამრეწველო რაიონში დაიწყო მუშათა გაფიცვა. მუშებმა დააზიანეს ბაქო-ბალახანის ტელეფონი და შესწყვიტეს მისი მოქმედება. ხოლო «კასპი შავიზღვის ამხანაგობის-სამრეწველოებზე დააზიანეს იმ მანქანების მოწყობილებანი, რომლითაც ბინებს ათბობენ. გაფიცვა დაიწყო აგრეთვე ბიბი-ეიბათის სამრეწველოებზე. აქ მუშებმა საორთქლედან გამოუშვეს ორთქლი და წავიდნენ. თუმცა დაუყოვნებლივ შესაფერი ღონისძიება იქმნა მიღებული, მაგრამ გაფიცვა შემდეგს დღეებში მაინც ძლიერდებოდა და დღეს მუშები ყველგან გაიფიცნენ, როგორც სამრეწველო რაიონსა, ისე ქალაქ ბაქოში. გაზეთები აღარ გამოდიან, სტამბების უმრავლესობა აღარ მუშაობს, ტრამვაის ვაგონების მიმოსვლა შესწყდა. ბალახანის მუშათა ჯგუფები სამრეწველოებსა და ქარხნებში მიდიან და თხოულობენ მუშაობის შეწყვეტას და საორთქლედან ორთქლს უშვებენ, მაგრამ პოლიციისა და რაზმის მისვლისას მსწრაფლ იფანტებიან. აქამდე დიდი შეტაკება არ მომხდარა პოლიციასა და ჯართან, მხოლოდ ერთ პოლიციელს რევოლვერის ტყვიით გაუხვრიტეს ფარაჯა».

*** «ბაკ. იზვ». სწერს: «ბაქოს გაზეთები „კასპი“ და „ბაკინ. იზვ.“, აგრეთვე სააგენტოს დეპეშები 15, 16 დეკემბერს რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო არ გამოსულა“-ო.

*** იმავე გაზეთში დაბეჭდილია: „როგორც მკითხველებმა იციან, 14 დეკემბერს მუშაობა შესწყდა სამრეწველოებსა და ქარხნებში პირველად მუშაობაზე ხელი აიღეს ბალახანა-საბუნჩის რაიონის მუშებმა შემდეგ ბიბი ეიბათის რაიონისამ და ბოლოს იმათ მიემხრნენ საქარხნო რაიონის მუშებიც. ამით შეფიქრიანებულნი ნავთის მწარმოებელნი შეიკრიბნენ სათათბიროდ 14 დეკემბერს და დაადგინეს,—საქმის გამწვავების თავიდგან ასაცილებლად ძალას არ მიმართონ და მოლაპარაკება გამართონ მუშებთან. ამ გარდაწყვეტილების თანახმად, არჩეულ იქმნა განსაკუთრებული კომისია იმ საგანთა განსახილველად, რომელთაც კავშირი აქვთ მუშების მოთხოვნილებასთან. ამასთან შემუშავებულ იქმნა შემდეგი მოწოდება მუშების მიმართ:

„ნავთის მწარმოებელთა და ქარხნის პატრონთა კრებამ განიხილა 14 დეკემბერს საქმე მუშების მიერ მუშაობის შეჩერების შესახებ და აარჩია თავიანთ შორის კომისია მუშათა წარმომადგენლებთან მოლაპარაკების დასაწყებად. ამ მოლაპარაკების დროს უნდა გამოირკვეს მოთხოვნილებანი მუშებისა და გადასწყდეს სხვა და სხვა საგნები ამ მოთხოვნილებათა გამო. ზემოდ დასახელებულ კომისიაში არჩეულ იქმნენ: ბარდსკი, ბეკენდორფი, გაუდენი, ა. ლუქასოვი, პ. ლუქასოვი, კრიჟანოვსკი, მანჩო, მუხტოროვი, პაპვე, პარონიანი, ტაგიანოსოვი, ფეიგლი, ხატისოვი, ცეიტლინი და ეკლუნდი“.

ეს განცხადება გაკრულ იქმნა ყველა ქარხანასა და სამრეწველოში. საეჭვოა, მუშებმა თავის მხრივ წარმომადგენელნი აარჩიონ, რადგან არავითარი გარანტია არ არის იმისი, რომ ამ არჩეულთ განსაცდელი არ მოელით. მეორეს მხრივ ნავთის მწარმოებელთ, როგორც გადმოგვცეს, მუშაობის დასაჩქარებლად, აზრადა აქვთ გამოაცხადონ, რომ ხვალიდან, ე. ი. მუშაობის შეწყვეტიდან სამის დღის შემდეგ, ყველა მუშები დათხოვნილად ჩაითვლებიან».

*** ძმ. რევიშვილნი. ჩვენ ვნახეთ სათავად-აზნაურო სკოლის შენობის კანტორაში ახალი მექანიკური მოწყობილება ფანჯრების მისაკეტ-გასაღებისა, ესრედწოდებული შპინგალეტი, მოგონილი ძმათა რევიშვილთაგან. ამ მოწყობილებით გამართული ფანჯრები ყოვლად-ადვილი გასაღებია და მჭიდროდ მისაკეტი. თვით პატარა ბავშვს შეუძლიან მიჰკეტოს და გააღოს ამ მოწყობილების შემწეობით ფანჯარა, რაც უნდა დიდის ზომისა იყოს. ამ გვარივე მოწყობილობა მოუგონიათ ძმ რევიშვილთა კარების გასაღებდასაკეტად. მოწყობილობის შემწეობით ორმაგი კარი ერთბაშად იღება და მჭიდროდ იკეტება. აღარც ესრედ-წოდებული ჩასაკეტი ჩანგლები ასაწევ დასაწევად, აღარც წვალება და მოშლა საკეტ ჩანგლისა. ძმათა რევიშვილთ აუღიათ პრივილეგია და დაუმართავთ კანტორები პეტერბურგსა, მოსკოვსა, ტფილისსა, ბაქოსა და ქუთაისში. რევიშვილებს ბევრი საზოგადო შენობა გაუკეთებიათ რუსეთში და თავიანთ მოწყობილობა პრაქტიკულად გამოუყენებიათ. იმათი მოწყობილობა ფანჯრებისა და კარების საკეტ-გასაღები სათავად-აზნაურო სკოლის შენობის აშენებელთაც უნდათ შეიძინონ თავიანთ შენობის კარ-ფანჯრისათვის, რომელიც განსაკუთრებულის აგებულებისაა და სრულიად არა ჰგავს ამ ჟამად ხმარებულ კარ-ფანჯრებსა.

*** დრამატიულ საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება. დღეს, 21 დეკემბერს, საღამოს 8 საათზედ, დანიშნულია საგანგებო კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა. კრება მოხდება სამეურნეო ბანკის დარბაზში და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. განსახილველი საგნები:

1) ბ-ნთ ზუბალაშვილების შემოწირულების შესახებ; 2) მოხსენება ქართულ თეატრის თაობაზედ; 3) მოხსენება აღმასრულებელ კომისიათა შესახებ; 4) მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა; 5) ქ. დრ. ს. მომავალ 25 წლის იუბილეის პროგრამმა და 6) ახალ წევრთა არჩევნები.

*** მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელს, როგორც „კავ.“ იუწყება, 17 დეკემბერს შეუცვლია განაჩენი ვიცე-გუბერნატორის ანდრეევის მკვლელთა საქმის შესახებ: ჩამოხრჩობის ნაცვლად კრიკორ ლუქასოვისათვის გადაუწყვეტია უვადოდ კატორღაში გაგზავნა, ხოლო სიმონ ფარაშევს—უვადო კატორღის ნაცვლად ოცის წლით კატორღა.

*** „ცნობ. ფურც.“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან: განზრახულია მუშაობა მინისტრთა კომიტეტისა, რომელმაც უნდა შეიმუშაოს პროგრამმა უმაღლესს ბრძანებაში აღნიშნულ საქმეებისა, დაიწყოს დღესასწაულებამდე და დაამთავროს იანვრის დამლევამდე. მუშაობის დასაჩქარებლად შესდგება ორი განსაკუთრებული კომისია. ერთმა უნდა განიხილოს მუხლები უცხო ტომისა (ინოროდცი) და სარწმუნოების ხალხთა და პრესსის შესახებ; მეორე კომისიამ—მუხლები მუშათა დაზღვევის შემოღებისა და გაძლიერებულ დაცვის დებულების გაუქმების შესახებ. კომიტეტის პირველ სხდომაზე უნდა გადასწყდეს საკითხი იმის შესახებ, მოწველ იქმნან თუ არა კომიტეტის სხდომებზე ადგილობრივი მოღვაწენი. ამ უკანასკნელთ სათათბირო ხმა ექნებათ მხოლოდ.

*** «ივერიის» პრემიის «აღდგომის» დაბეჭდვა ჩქარა დამთავრდება ქ ამ დღეებში დაურიგდება იმ ხელის მომწერთ, რომელთაც გასულის წლის პირველ თებერვლამდე შემოიტანეს სრული ფასი—ერთი თუმანი. ამ ჟამად დაბეჭდილია 450 გვერდზედ მეტი. სულ 600 მეტი გვერდი იქნება.

*** მადლობის გამოცხადება. ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: ყაზბეგის დედათა სკოლის გამგეობა დიდს მადლობას უცხადებს «ცნობის ფურცლის» რედაქტორს ბ-ნს ალ. გ. ჯაბადარს, რომელმაც ყაზბეგის დედათა სკოლის სასარგებლოდ გადმოგვცა ოცი წიგნი «ცნობის ფურცლის» პრემია—თხზულებანი ალ. ყაზბეგისა.

# საქართველო

—

ქ. სიღნაღი. სიღნაღის მაზრა სამად იყოფა. უკანამხარი, წინა მხარი და ქიზიყი. ახალის წესით, ესე იგი ჯამაგირებით ამორჩევა მამასახლისებისა მოჰხდა უკანა მხარში: ს. ს. ჯიმითს, ქოდალოს, კაკაბეთს, ზიარ-კაჰრეთს და მელაანში. ამოარჩიეს მამასახლისები სულ უსწავლელნი; გარდა ამისა ნამწყემსარნი (მეღორეები). გაიგეს-თუ არა ქიზიყში მცხოვრებლებმა ეს შემთხვევა, ე. ი. ის რომ ამას იქით ჯამაგირები ექნებათ მამასახლისებსაო, იმათაც საღერღელი აეშალათ. რასაკვირველია, ნამეტნავად იმათ, ვინც გაიძვერა ჩანჩხარა და ხალხის მყვლეფავია. დაჰკრეს დოლი და ნაღარა, იწყეს ხალხში გაძრომ-გამოძრომა. მოჰხსნეს ქისას პირი, ორმოს ბადიმი და ქვევრს სარქველი. ქიზიყის ყველა მხარეს და ყველა სოფლებში გაისმის ამ ჟამად ჰარი-არალე, მრავალ-ჟამიერ და ტკბილი „რეჩები“. დილით პილატეს ცრემლით (არაყი), შუადღისას «ბახუსით» ქ საღამოთი ჩაით; ეხლა აქეთ დიდათ მიაჩნიათ ჩაი. იბრუჟება სიბნელით ხალხი. ეს ფარა ეფიცება იმ გაიძვერა და გაქნილ გაცვეთილ კაცს, რომლისაგანაც არა ერთხელ და ორჯელ უცდია და უწვნევია პირველად ასეთი ტკბილი საუზმე და სადილ-ვახშმები, შემდეგ კი აუტანელი უღელ-ყალანი და მწვავე მათრახები. აი ამისთანა კაცებს ეს ამოდენა შორს არ გამჭვრეტელი, ცხვრის ფარასავით ხალხი, ფიცს უდებს და პირიობას აძლევს მას ზედა, რომელ შენს მეტი ჩვენ არავინ გვინდა წინა-მძღოლი, პატრონ-მომვლელი მამასახლისიო და სხვა. მართალია ამ ბრბო ხალხშიაც მოიპოვება თითო ოროლა იმისთანა ვირ-აქლემა (აქეთ ასე ეძახიან ამისთანა კაცებს), რომელსაც არავისთვის არა შურს თეთრი კბილი—შავი გული, ოღონდ კი გაძღეს ერთხელ, ორჯელ, და სამჯერ, თორემ შემდეგ ფეხებზე ჰკიდია: ან სულ არ დაესწრობა სოფლის ყრილობას, ანუ ერთბაშათ დაიღრიალებს «ეგ არ გვინდა, არაა»-ო. ამისთანა გამბედავი ხალხი ერთობ ცოტაა სოფლად. მომეტებული ნაწილი იმისთანა გონება-დახშული, თვალ-დახუჭული და მოუფიქრებელია, რომ ოღონდ ერთხელ კი გაძღეს, თორემ შემდეგ თუნდა ქვა-ქვაზედაც აღარ იყოს, იმას აღარ დაგიდევს, თავის თავსაც კი აღარა კითხულობს, არამც თუ სოფელი იკითხოს. ამ ერთ და ორ გაძღომისთვის უგდებს გაიძვერა, გაქნილ და ფლიდ კაცს ხელში სოფელს. როგორც ზევითა ვსთქვით, იმისთანა კაცებს ჩამოუფარებიათ წინ მტკიცე ლაინის «ფართუკი», ჩაუყრიათ წითელ შინდის კურკასავით თესლი და სთესენ და სთესენ წმინდა ნახნავ «ანეულებში», იმ იმედით, რომ გამოზაფხულდება და მოიმკიან ნათესს უხვ მოსავლიდგან, რასაკვირველია, თუ გვალვა არ დაუდგათ; მაგრამ განა ამათთანა კაცებს გვალვა დაუდგებათ? იციან და. როგორ აიცდინონ თავიდან ეს ჭირი! ჭირი, რომელიც ნელ-ნელა ვვიხრავს ძალ-ღონეს უკურნებელ ჭლექივით და ბოლოს გვასალმებს წუთი-სოფელს ნივთიერად. ჩემის აზრით, ერთად ერთი ნაწილი ამ სენისა გახლავთ კენჭი—კენჭით ამორჩევა მამასახლისებისა და არა ადგომ-დაჯდომით, როგორც ეხლა სწარმოებს; დასხამენ ხალხს და ეტყვიან, აბა, ვისაც გინდათ აის ივანე, ანუ პეტრე, ადექით; ვისაც არ გინდათ, ისხედითო. ადგომ-დაჯდომით ძლიერ ბევრი ხალხი ირჩევს იმისთანა კაცს, რომელიც არა თუ მომვლელ-პატრონად, არამედ თვალის დასანახავათაც კი ეჯავრება. მაგრამ რა ჰქნას იქ, სადაც ომბასავე მტკიცე და მკვიდრი ქსელებით აქვთ გაბმული მახე პირველი საუზმ-სადილ-ვახშმის წყალობით, მეორე ნათლია, ნათესავ-მეგობრის ჩინით და მესამე ეს ნათლია-მეგობარ-ნათესავები რომ წამოხტნენ და დაიძახონ ნინიკო ან ივანე ანუ პეტრე (ვინც არი) გვინდაო? მაშინ რაღა ჰქნას? იმ ნინიკა, ივანე და პეტრესაც ხომ თვალი უჭირავთ, ვინ ადგება და ვინ დაჯდებაო. ხედავ შენს მკარცველს და საბლის ორივე წვერს ხელში აძლევ. ადგები, უნდა გჭამოს და გთალოს სამ წელიწადს (იქნება მეტსაც), არ ადგები და უნდა გაიჩინოს მტერი, მტერი დაუძინებელი. სულ ერთია, თუნდა ადექ, თუნდა დაჯექ. ჩვენ ამ სენის მკურნალად მიგვაჩნია—პირველად მომრიგებელი შუა კაცები (მიროვოი პოსრედნიკი), მეორედ მაზრის უფროსი და მესამედ—მაზრის ნაწილის ბოქაულები. ამათ წამალიც ხელთ უჭირავთ და არც «რეცეპტი» ესაჭიროებათ. ეს წამალი უებარია და უვნებელიც. ეს გახლავთ, როგორც ზემოთ ვთქვით, კენჭი, კენჭი და კენჭით ამორჩევა. იქნება იფიქროს ვინმემ, რომ ადგომ-დაჯდომით მალე თავდება არჩევნები და კენჭით გვიანაო? არა, არც ისე გასაჭირია კენჭით არჩევა, როგორცა ჰგონიათ. თუნდა ცოტა შეგვიანდეს, მაგალითად, თუნდ ორ დღეს მოუნდნენ ერთ საზოგადოებაში არჩევნებს, განა ეს სამძიმოა? სამძიმო კი არა, პირიქით, სასახელოც უნდა იყოს. თითონაც ბევრ გამოცდილებას შეიძენენ, რაც ყველა კაცისათვის საჭიროა და ხალხსაც დიდ სიკეთეს მოუტანენ. დღეს სიღნაღის მაზრას, რამდენადაც ვიცნობთ, ძრიელ კარგი და ხალხის გულ-შემატკივარი მომრიგებელი შუა-კაცები ჰყავანან და მით უფრო იმედია, რომ ეს პატიოსანნი კაცნი ხალხს ჩააგონებენ და ამოარჩევინებენ ხალხის მომვლელად, და არა საცრცვეელად, იმისთანებს, რომელთაც ცოტად თუ ბევრად, ადამიანობა მოსდგამთ, და არა იმისთანებს, როგორიც სს. ჯიმითს, შიბლიანს, ზიარ-კაჰრეთს, ქოდალოს, ფხოველს და ავრამ-დარჩიეთს ამოურჩიეს. მით უმეტეს, რომ ეხლა ყველას ჯამაგირი ენიშნებათ. აქამდე თუ სვინიდისიერი კაცები გაურბოდნენ ამ ხელობას, ახლა ვგონებ აღარ დაიწევენ უკან, რადგან ბევრად თუ ცოტად, დაკმაყოფილებულნი იქმნებიან იმ ჯამაგირით, რასაც დაუნიშნავენ; უნდა გამოჰგლიჯონ სოფელიც ხელიდან უსვინიდისო კაცებს. სხვა არა იყოს-რა, ჰოვალენიც არიან. არჩევნები დაიწყობა იანვრიდან 1905 წ.

უკეთესი იქნება, ძველი მამასახლისები არც ერთი არ დასტოვონ და სულ ახლები აირჩიონ.

ქართველი.

# ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

—

ქართველ ქალთა გამოცემა.

ზღაპრები, №2. ტფილისი 15 დეკემბერი 1904 წ.

ყველგან, საცა კი მოზარდის ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმე ნორმალურად სწარმოებს, საყმაწვილო ლიტერატურას განსაკუთრებული ყურა-

# ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

—

## მ უ ს ი კ ა ს.

შორს... შორს, მუსიკავ, არ მახარებს
მე ეგ ტკბილი ხმა,
ოდეს ჩემს ახლოს მღელარებას აფრქვევს
ჩემი ძმა,
გადასცდენია სიმართლის გზას ორივ თვალით ბრმა
და ოქროსათვის ის გამხდარა სხვისა მონა-ყმა.

ნუ, ნუ... ნუ მიწვევს საოცნებოდ მე
ეგ ტკბილი ხმა:
ხე ცხოვრებისა აღარ ხარობს, დღეს ჩვენ
გაგვიხმა,
წმინდათა-წმინდა გადათელა უწყალო ფეხმა
და უსირცხვილოდ გულს ჩაგვიკლა წრფელი გულის თქმა.

მარქვი, რა არის უსულ-გულოდ სიცილხარხარი,
ოდეს აწმყოთი ვერა ხარობს გული დამწვარი?!
ოჰ, ღმერთო ჩემო, როს განვლით ტანჯვის სამზღვარი,
ან როდის შესწყდეს ამ გულიდან სისხლისა ღვარი?

მე მაშინ ვიმღერ, როს ქვეყნისა ჩვენის გარემო
კაცთ აღსადგენად გაისმება ჰანგი საამო,
როს განათდება ეს წყვდიადი, ბნელი საღამო
და შენც, მუსიკავ, მხოლოდ მაშინ გთხოვ
რომ მაამო!

ია ეკალაძე.

—

## ვ ა კ ვ რ ი თ.

(ჩვენებურ ჟურნალ-გაზეთობისათვის)

რუსეთის ჟურნალ-გაზეთობა უჩივის თავის მდგომარეობას და ჩვენმა რომ იჩივლოს, ოღონდაც რომ გასაკვირველი არ არის. რუსეთში, თუ ყველგან არა, ბევრგან მაინც გაზეთს თუ ჟურნალს თამამად შეუძლიან მსჯელობდეს მწვავე და საჭირბოროტო საგანზედ, გულის ტკივილითა და ზრუნვით ეკიდებოდეს საქვეყნო საქმეს დაუბრკოლებლივ. გამგონიც მეტი ჰყავს იქ გაზეთს და თანამგრძნობელიც. ხოლო ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. სად მარტოდ-მარტო მუშაკობა, დაუხმარებლად, თანაგრძნობა-მოკლებით და სად მუშაკობა იქ, საცა გამხნევებენ, თანაგიგრძნობენ, იზიარებენ შენს ფიქრსა და გრძნობას!

რუსეთში ასი მილიონი წმინდა რუსობა იქნება, ჩვენში კი წმინდა ქართველობა, სულ ბევრი, ორი მილიონი იყოს. მაშასადამე, სხვა ყველა გარემოება რომ თანაბარი იყოს, მაინც ყოველი საქმე იქ 50 ჯერ მეტის წარმატებით უნდა წავიდეს, ვიდრე ჩვენში. ნამდვილად-კი, იქ ასჯერ ადვილია საქმის დაწყებაცა და გაძღოლაც, ვიდრე საქართველოში. რუსეთი გულია იმპერიისა. ჩვენ და ბევრნი სხვანიც განაპირელნი ვართ, მხოლოდ გარშემო ვახვევივართ ამ იმპერიას, ზოგნი ათასის ვერსით დაშორებულნი და ზოგნი ხუთი-ათასით, როგორც ჩვენა, მაგალითად. რუსეთში რომ ჟურნალ-გაზეთს მსჯელობა შეუძლიან, სითამამე და გაბედულობა აქვს, ის ჩვენთვის ხელ მისაწვდენი არ არის. რუსულს ჟურნალ-გაზეთს რომ იქ შემოსავალი აქვს, ის ჩვენებურს სიზმრადაც არ მოელანდება. თუ არა ვსცდები, გაზ. «ნივა»-ს 300,000 ხელის მომწერი ჰყავს, «ნოვ. ვრემია»-ს 160,000, «რუსკოე სლოვოს» 116,000, „რუსს“ აგრეთვე. დინჯსა და დარბაისელს გაზეთებს მაგრე ბევრი არა ჰყავთ მკითხველი, მაგრამ მაინც საკმაო შემოსავალი აქვთ, როგორც ხელის-მოწერით, ისე განცხადებათა ბეჭვდით. რუსეთის სუკეთესო გაზეთს «რუს. ვედ.»-ს, თუ არა ვცდებით, 90,000-მდე ხელის მომწერი უნდა ჰყავდეს. ყოვლად დარბაისელს და ყოვლად პატიოსანს რუსულ ჟურნალ «ვესტ. ევრ.»-ის 7 ათამსადე ძლივს-ღა ჰყავს ხელის მომწერი და განცხადების შემოსავალიც, რასაკვირველია, როგორც თვიურს გამოცემას, ნაკლები აქვს.

აიღეთ ახლა გაძღოლა ჟურნალ-გაზეთისა, გარჯა და მუშაობა ამ საქმეში და შეადარეთ, რა ამბავია ჩვენშიაცა და რუსეთშიაც. შეადარეთ და დაინახავთ, რომ ჩვენში ბევრად მეტი შრომა და ჯაფა უნდა ჟურნალ-გაზეთს, მეტადრე გაზეთს, ვიდრე რუსეთში. მარტო დეპეშების თარგმნა აიღეთ, რადა ჰღირს! ერთი კაცი ვერას გზით ვერ აუვა მაგ თარგმნას. რუსეთის გაზეთს დეპეშები მზრ-მზარეული მიერთმევა და პირდაპირ სტამბაში მიდის დასაბეჭდათ. აიღეთ ახლა ესრედწოდებული «ნარკვევი» ანუ «პრესა», საცა მოთავსებულია გაზეთებიდან ამოკრეფილი ადგილები. ყველას თარგმნა უნდა და თარგმნა დახელოვნებული, ამიტომ რომ ნიმუშად მოგყავს იგი ადგილი, მსჯელობა მოგყავს სხვისა და გასაგების, კარგის ქართულით უნდა იყოს ნათარგმნი. ამასაც ერთი კაცი უნდა. ახლა რუსეთის ამბები. ახლა ომის ამბები. ყველას ამოკრება უნდა და თარგმნა და სულ თარგმნა. ახალ ამბების შემკრები და მომტანიც კი თარგმნაზედ წვალობს. საცა დაწესებულებაში შევა, საქმეთ-წარმოება რუსულადაა, ქაღალდები რუსულადაა დაწერილი, ოქმები, გადაწყვეტილებანი, ერთი და მეორე. უნდა დაჯდე და თარგმნო და თარგმნო, თარგმნო დღეს, ხვალ, მუდამ..

აი ყოველ ამ შრომას, ამ ჯაფას აცილებულია რუსულს გაზეთში მომუშავე «მეპრესე-მენარკვევე», მედეპეშე, რუსეთისა და ახალ ამბების შემდგენელი, ომის ამბების ამომკრები და უცხოეთის ამბავთა მწერალი.

ბევრი იტყვის, რა დიდი საქმეა თარგმნაო, საქმე დაწერაა საკუთარის ჭკუითა, თორემ სხვის ნათქვამის გადმოქართულებას რა უნდაო. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის და თარგმნა ქართულად ყოვლად ძნელი საქმეა და თხოულობს დიდს ვარჯიშობას, დიდს დახელოვნებას. ბევრს ჩვენებურს ლიტერატორს ურჩევნია დილიდგან საღამომდე სწეროს, ოღონდ თარგმნას კი ნუ დაავალებ; ეძნელება, არ ეხერხება და იმიტომ. მერე დეპეშების თარგმნა ხომ სწორედ ჭირია. დეპეშაში მოკლედ არის, შეკუმშვით, შეჭულეტით აზრი გამოთქმული და მოდი და გადააქართულე! თუ კარგი მცოდნე არ არის ქართულისა და დახელოვნებული კაცი, ამისთანა დე-

დღება აქვს მიქცეული. თვითოეული შეგნებული მშობელი, თვითოეული შეგნებული მასწავლებელი, აღმზრდელი თავის სამღვთო მოვალეობად სთვლის ყმაწვილი, სანამ იგი სასკოლო ჰასაკისა გახდებოდეს, ნორმალურად განავითაროს, შესძინოს ყველა ის ცოდნა და განვითარება, რომელიც შემდეგ ნორჩი ყრმის გონებასა მძლავრ და საიმედო ქვა კუთხედათ დაედება სასკოლო ჰასაკის დროს. თითქმის ყველა გამოჩენილი პედაგოგი ერთხმად აღიარებენ ბავშის სასკოლო ჰასაკამდის «შინა აღზრდისა და განვითარების» აუცილებელს საჭიროებას. მართლადაც, უძლური და უნაყოფოა ის სკოლა, რომელსაც კეთილგანწყობილი ოჯახი ხელს არ უწყობს; სკოლა ვერასოდეს თავის დიად აზრსა და დანიშნულებას ვერ განახორციელებს, თუ რომ ოჯახი ყმაწვილის «შინაურ სწავლა განვითარებაზე» ნაკლებად ან სულ არა ზრუნავს.

ყმაწვილის ოჯახში სწავლა და განვითარება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა თვით ამ ოჯახის შემადგენელნი წევრნი შეგნებულნი არიან და როცა ამ ოჯახს საშუალება მოეპოვება მიაწოდოს პაწიების ნორჩ გონებას შესაბამი საზრდო.

ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული ოჯახი ამ მხრივ მეტად შევიწროებულია, მეტად უხერხულს მდგომარეობაშია. ქართული ლიტერატურა მეტად ღარიბია საყმაწვილო წიგნაკებით. მართალია, თითო ოროლა სამშობლოსათვის თავ-დადებული ქართველი კიდევაც მოღვაწეობს ქართულ საყმაწვილო ლიტერატურის სალაროს გასამდიდრებლად, მაგრამ ნათქვამია «ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო». ერთისა და ორის მოღვაწეობა ისეთს პასუხ-საგებ ასპარეზზედ, როგორიცაა საყმაწვილო ლიტერატურის საფუძვლიან ნიადაგზედ დამყარება, მეტად საძნელო საქმეა.

სწორედ ამ სიძნელით აიხსნება ის სამწუხარო გარემოება, რომ ქართულს ოჯახში იშვიათად მოიძებნება გონივრულად შედგენილი საყმაწვილო წიგნი. მშობლებს კიდევაც რომ დიდი სურვილი ჰქონდეს აღზარდოს თავისი შვილები მშობლიურს ნიადაგზედ, მიაწოდოს მათ ნორჩს გონებას ჰასაკის შესაფერი მასალა, საყმაწვილო ლიტერატურის სიღარიბის გამო ეს კეთილშობილური სურვილი სურვილადვე რჩება და სრულიად უდანაშაულო ყრმანი ძალა უნებურად სწყდებიან სამშობლო ნიადაგს და მით ამ ყრმათა გონებრივი განვითარება მეტად ანორმალურ ვითარებაში სწარმოებს. ასეთი სამწუხარო გარემოება დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ჩვენის ქართულის ოჯახისათვის.

ტფილისში მცხოვრებ ქართველ ქალთა ერთს გუნდს ჩვენის ოჯახის ესეთი გამათახსირებელი ნაკლი კარგად შეუგნია და სწორედ ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად განუზრახავს დრო-გამოშვებით მიაწოდოს ქართველ ბავშვებს შესაფერი გონებრივი საზრდო.

მეტად კეთილშობილური განზრახვაა, ვისაც მომავალის თაობის იმედი აქვს, ვისაც კი მოზარდ ახალგაზრდობას მზრუნველობის თვალით შეჰყურებს, იგი უთუოდ დიდის მადლობით მოიხსენიებს თავის დროზე ქალთა ამ პატარა გუნდის მოღვაწეობას, მით უფრო, რომ ეს უანგარო და გულ-წრფელი მოღვაწეობა მეტად ნაყოფიერი და სანაქებოა.

ამ დღეებში ქალთა ამ პატარა გუნდმა ქართულს საყმაწვილო ლიტერატურას შესძინა მეტად საგულისხმიერო წიგნი, რომლის სათაური ჩვენ ზემოდ ამოვწერეთ. წიგნი, რომელშიაც მოთავსებულია ჩვიდმეტი ზღაპარი, დიდის ტანისაა და ხელოვნურად დასურათებულია. სურათებ შორის განსაკუთრებულს ყურადღებას იქცევს დევების სურათი. ქართველ ბავშვს ხშირად ესმის ზღაპრებში დევის სახელი, მაგრამ ნორჩის გონებისათვის ნამდვილი წარმოდგენა დევებზე ნაამბობის საშუალებით ძნელია, თუ სულ შეუძლებელი არაა. ბავშვებს კი არა, მოზდილებსაც კი ზოგჯერ ძრიელ ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს დევების შესახებ, ხოლო ვინც ქალთა გუნდის გამოცემულ ზღაპრებში მოთავსებულ დევების სურათს ერთხელ მაინც თვალს გადაავლებს, მის გონებაში სივრცე-სიგანით აღიბეჭდება ნამდვილი დევის სურათი. წიგნში მოთავსებული სხვა სურათებიც ესეთის ხელოვნებითაა დასურათებული. თვითოეული სურათი დიდს შთაბეჭდილებას ახდენს და ყმაწვილის ნორჩს გონებას ბევრს რასმე უსიტყვოდაც მოუთხრობს. წიგნის ხელოვნურად დასურათ-ხატება—აი „ზღაპრების“ პირველი თვალსაჩინო ღირსება.

წიგნში, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, მოთავსებულია ჩვიდმეტი ზღაპარი. ჩვენს პერიოდულ ლიტერატურაში და არც განსვენებულ ლ. აღნიაშვილის ზღაპართა კრებულში ამ წიგნში მოთავსებულ შინაარსის მგზავსი ზღაპრები ჩვენ არ შეგვხვედრია და არც გვახსოვს. მართალია, ზოგიერთ ზღაპრების შინაარსი მოგაგონებს უკვე ჩვენის ლიტერატურის მიერ ცნობილს ზღაპრებს, მაგრამ ვარიანტი ამ ზღაპრებისა სულ სხვა და სხვაა. ამნაირად ქალთა გუნდის გამოცემაში მოთავსებული ზღაპრები ახლად შეკრებილი ზღაპრებია, რაიცა საერთოდ ჩვენის ლიტერატურისათვის დიდ შეძენად უნდა ჩაითვალოს.

წიგნში ახლად შეკრებილ ზღაპრების მოთავსება—აი ქალთა გუნდის გამოცემის მეორე თვალსაჩინო ღირსება.

პედაგოგიურ ლიტერატურაში ზღაპრების შესახებ ორგვარი აზრი ტრიალებს. პედაგოგების ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ საყმაწვილო ლიტერატურისათვის ზღაპრები შეუსაბამო მასალაა, პედაგოგთა მეორე ნაწილი წინააღმდეგია ესეთის შეხედულებისა.

რასაკვირველია, ბევრი რამ შეიძლება ითქვას pro და contra, მხოლოდ ჩვენ ამ ჟამად ამის გამოძიებაში ვერ შევდივართ, რადგან ჩვენის წერილის აზრი სულ სხვაა, ვიტყვით მხოლოდ, რომ შინაარსიან ზღაპარს, რომელშიაც ფანტასტიურ ელემენტს ფართო ადგილი არა აქვს დათმობილი, მეტად დიდი აღმზრდელი და განმავითარებელი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ჩვიდმეტივე ზღაპარი გულ-დასმით გადავიკითხეთ და გადაჭრით უნდა ვაღვიაროთ, რომ პედაგოგიურის მოსაზრებით შინაარსი ყველა ამ ზღაპრებისა ყრმათათვის შესაბამი და საგულისხმიეროა. ზღაპრების პედაგოგიურის მხრით შერჩევა—აი ქალთა გუნდის გამოცემის მესამე ღირსება.

ზღაპრების კარგი ენა, მშვენიერი შრიფტი და მეტად ლამაზი ტანის ფორმატი ქალთა გამოცემის მეოთხე ღირსებად უნდა ჩაითვალოს.

ყველა ამ ღირსებასთან რომ ამ წიგნის სურათები დაფერადებული იყოს, ეს გამოცემა ნამდვილ თაიგულად ჩაითვლებოდა ჩვენს ლიტერატურაში. მაქს ფიშერის გამოცემას ბეხშტაინისა და ლაჟფფის ზღაპართა კრებულისას თუ დიდ ძალი ბაზარი აქვს მთელს გერმანიაში, თუ თვითოეული გერმანელი ოჯახი ამ ზღაპრების შეძენას ყმაწვილებისათვის თავის აუცილებელ მოვალეობად სთვლის, ეს, სხვათა შორის, იმითაც აიხსნება, რომ ზღაპრებში ჩართული სურათები დაფერადებულია.

ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართ, საქართველოში არ დარჩება არც ერთი შეგნებული ქართველი ოჯახი, რომ ეს მშვენიერი გამოცემა არ შეიძინოს და ამიტომ, ვფიქრობთ, კარგი იქმნებოდა, ქართველ ქალთა გუნდს ენებებინა და საერთოდ ყველა წიგნები დაეკაზმინა, რადგან არც ერთი ოჯახი ასეთს მშვენიერს გამოცემას დაუკაზმავად არ დასტოვებს.

ა. ჟუმისთაველი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

## დილის დეპეშები.

19 დეკემბერი

**შანხაი**, 17 დეკემბერი (რეიტერი) დაოტაი ენერგიულად მოქმედებს, რათა ხელი შეუშალოს „ასკოლდ“-სა და «გროზოვი»-ს წასვლას. ჩინეთის მთავრობამ მიანდო დაოტაის, განმეორებით მოსთხოვოს რუსეთის კონსულს, მოსცეს ჩინეთის მოხელეებს ჩინელის მკვლელი მატროსი. წინააღმდეგ შემთხვევაში ცხადი გახდება, რომ რუსეთს სერიოზულად სწადიან ნეტრალიტეტის დარღვევა და ჩინეთიც აღარ დაიცავს რუსებს იაპონელებისაგან ჩინეთის ნავთ-სადგურებშიო.

**ტოკიო**, 18 დეკემბერი (რეიტერი). ტოკიოს ქალაქის მმართველობა აპირებდა დიდის ამბით მიჰგებეოდა ადმირალ ტოგოს, მაგრამ ტოგომ უარი განაცხადა და სთქვა ჯერ არ დამდგარა დრო მაგვარ დახვედრისათვისაო. ტოგო ეთათბირება ადმირალ იტოს, იმამატოს, იჯუინოს და საიტოს და საზღვაო შტაბის სხვა მოხელეებს ზღვაზე მომავალ სამხედრო მოქმედების შესახებ.

**პეტერბურგი**. დეპეშა «პრავიტ. ვესტნიკისა» ხარბინიდგან: პოზიციებიდგან მოსული აფიცრები ჰმოწმობენ ჯარის კარგად ყოფნას: მიწურებში თბილა, ყველას თბილად აცვია, საზრდო საკმაოდ აქვთ, მეცადინეობენ და კარგ გუნებაზე არიანო. იაპონელების ტყვედ გადმოსვლა გახშირდა და წინანდებურად არ გვეწინააღმდეგებიან. სენატორ გორნოვენკოს ებოძა ვლადიმირის ორდენი პირველი ხარისხისა. შინაგან საქმეთა მინისტრმა ხელ ახლავ ნება დართო გაზეთს „სევერნი კრაი“ გამოცემისა.

**ბირზულა**, 18 დეკემბერი. ხელმწიფე იმპერატორმა დიდი მთავრის მიხაილ ალექსანდრეს ძის თანადასწრებით დალოცა შორეულ აღმოსავლეთს მიმავალი ჯარი ოდესის სამხედრო ოლქისა. როდესაც ხელმწიფე იმპერატორი ვაგონიდგან გამობრძანდა, ოლქის ჯარის სარდალი რაპორტით წარუდგა. ამის შემდეგ გუბერნიის უფროსმა წარუდგინა ხელმწიფეს დეპუტაციები სასულიერო წოდებიდგან, თავად-აზნაურთაგან, ანანიევის ერობიდგან და ებრაელთა წარმომადგენელთაგან, რომელთაც პურ-მარილი მიართვეს ხელმწიფე იმპერატორს. ხელმწიფემ უმოწყალესად მადლობა უბძანა. მათმა უდიდებულესობამ სვიტის თანადასწრებით ჯარს მიმართა, რომლის პოლკებმაც ცერემონიალი მარშით გაიარეს ხელმწიფის წინ. როცა ჯარი ისევ გამწკრივდა, მაშინ ხელმწიფე იმპერატორმა აფიცრებს მიმართა, პოლკების კომანდირებს უმოწყალესად ესაუბრა, მიულოცა ომში წასვლა და ხატით დალოცა აფიცრები და ჯარის კაცნი, მათი უდიდებულესობა ისევ ვოგზალისაკენ დაბრუნდა. ხალხი აღტაცებით აცილებდა.

**მუკდენი**, 18 დეკემბერი. (საკ. კორ.). პოზიციებზე სიწყნარეა. რუსეთიდგან ვაგონებით მოაქვთ საშობაო საჩუქრები. მშრალი ჰავის წყალობით ჯარი ჯანმთელადაა.

**პორტ-ლუისი**, 18 დეკ. (რეიტერი). ხმა დადის, რომ ბალტიის ესკადრა უნდა შეერთდეს ერთ ერთს პორტში მაიუნგის ჩრდილოეთით, მადაგასკარზე.

**ბომბეი**, 18 დეკემბერი. (რეიტერი). პატაჟალში სეიკთა დიდი მიტინგი შესდგა და რეზოლიუცია მიიღო, რომლითაც განკიცხა სეიკები იმის გამო, რომ იგინი თანაუგრძნობენ და შველიან რუსებს მანჯურიაში და სხვა ადგილებში. რეზოლიუციას ყველგან ავრცელებენ ბეჭდვის სიტყვით.

**პორტ-საიდი**. 18 დეკემბერს. (რეიტერი). დობროტვორსკის ესკადრა აპირებს აქ მიიღოს ცოტა ნახშირი, სანოვაგე და სასმელი წყალი.

**მუკდენი**, 18 დეკემბერი, (საკ. კორ.). პორტ არტურზე მიტანილი უკანასკნელი იერიშები კვლავ მოგერებული იქმნენ. ხმა დადის, რომ კორეელთა საზოგადოებას «ილხეილუნს», რომელიც სუბსიდიას იღებს იაპონელთა მთავარ შტაბისაგან, და აგრედვე სხვებსაც რუსების მხარე უჭირავთ.

**პეტერბურგი**. დეპეშა გენერალ-ლეიტენანტის სახაროვისა მთავარ შტაბში მოწერილი 18 დეკემბერს 1904 წ. «17 დეკემბერს საღამოთი ჩვენმა მოხალისეებმა იერიში მიიტანეს იაპონელთა ზასტავაზე სოფ. ჩინლინპუსთან.—რამდენიმე მოჰკლეს და ერთიც ტყვედ წამოიყვანეს.

**ლონდონი**, 17 დეკემბერი (რეიტერი). ინგლის-რუსეთს შორის დადებული სავაჭრო ხელშეკრულობა, საზოგადო აზრით, იმას მოწმობს, რომ ამ ორ ქვეყნის შორის დამოკიდებულება გაუმჯობესდა.

**ვაშინგტონი**, 17 დეკემბერი (რეიტ.). რუზველტმა დაიყოლია მაკ-კორმიკი ახალ მთავრობის ელჩად დარჩეს ს. პეტერბურგში.

**ვენა**, 18 დეკემბერი. მიწათ-მოქმედების მინისტრმა გრაფმა ბუკვიმ წინადადება მიიღო იმპერატორისაგან, კაბინეტის მეთაურობა იკისროს და წარმოადგინოს პროექტი სამინისტროს შეცვლის შესახებ.

**რომი**, 17 დეკემბერი. მთავრობამ მიიღო ბალკანეთის სახელმწიფოების წინადადება სავაჭრო ხელშეკრულობათა შედგენის შესახებ. იანვრის დამდეგს პირველად რუმინიასა და ბოლგარიასთან დაიწყება მოლაპარაკება.

**დონის-როსტოვი**, 18 დეკემბერი. ქალაქის საბჭომ მოისმინა 12 დეკემბერს გამოცემული უმაღლესი ბძანება, ისტორიულ მოვლენად სცნო და ერთხმად დაადგინა—გამოუცხადოს ხელმწიფეს დონის-როსტოვის მცხოვრებთა უქვეშევრდომილესი გრძნობები და მადლობა.

**ხარკოვი**, 10 დეკემბერი. სამხრეთ რუსეთის სამთო-მრეწველთა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ წყნარ ოკეანეს ესკადრის ერთ ნაწილს მაინც დონეცის რჩეული ნახშირი ეგზავნებოდეს. საზღვაო სამინისტროს გამგემ უპასუხა, გადაჭრით ვერაფერს გეტყვით, სანამ გემებზე არ გამოსცდიან თქვენ ნახშირსა და აღნიშნული არ იქმნება, რომელ მაღაროებიდან იღებენ ამ ნახშირსაო.

**პრაგა**, 18 დეკემბერი. მთელს ბოგემიაზე ქარიშხალმა და საშინელმა გრიგალმა გადაიარა და დიდი ზარალი მისცა მცხოვრებლებს.

**ვენა**, 18 დეკემბერი. („კორ. ბიურო“). იმპერატორმა მიიღო აუდენციაზე ბარონი გაუტშა. ღლისით მოხდა დათხოვნა კერბერისა და ერთსა და იმავე დროს დაინიშნა მინისტრ-პრეზიდენტად ბარონი გაუტშა, შენარჩენ მინისტრებს პორტფელი დარჩათ. შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა გრაფი ბილანდრეიში, ხოლო იუსტიციის მინისტრად კლეინი.

**პარიჟი**, 18 დეკემბერი. ტანჟერიდან იუწყებიან, რომ საფრანგეთის კონსულმა ფეციდან მოხსენება გამოგზავნა. სულთანს უთქვამს, თუ მწადდა საფრანგეთის სამხედრო მისიის მოთხოვნა, ეგ მხოლოდ ფინანსიური მოსაზრებით იყო განზრახულიო. სულთანი კვლავ მზათაა ისარგებლოს ფრანგების რჩევით და შემწეობით, რომელნიც ცდილობენ აღადგინონ მოროკოში წესიერება.

**კიევი**. კრივუშის საქმე ირჩეოდა. სასამართლოში დაესწრო ოთხი ექიმი-ექსპერტი, რომელთაც ის აზრი გამოსთქვეს რომ კრივუშა ჯანსაღი კაცია და დანაშაულობის ჩადენის დროს სრულ ჭკუაზე იყოო ეხლა აქ თავს ტყუილად იგი·

---

პეშას ის გადასთარგმნის, რომ ქართული კი არა, უფრო ჩიქორთული იქნება, ანუ ნახევრად რუსული და ნახევრად ქართული.

ახლა აიღეთ სხვა განყოფილებანი გაზეთისა. მწერალნი და ლიტერატორნი არიან მათთვის საჭირო თუ არა? მერე სად გახლავან ეგ მწერალნი და ლიტერატორნი? რუსეთში არიან, მრავალნი არიან, იმიტომ რომ იქ სკოლაშივე რუსულად სწარმოებს სწავლა, იქ აუარებელი რაოდენობაა ინტელიგენციისა, პროფესორებისა, მსწავლულებისა, მკურნალებისა და ადვოკატებისა, რომელთაც რუსული სკოლა აქვთ გამოვლილი, იციან დედა-ენა და შეუძლიანთ თვისი აზრები გამოსთქვან ამ დედა-ენის შემწეობით.

ჩვენში-და?

სად არის ჩვენში ქართული სკოლა? სად და რომელს სკოლაში სწარმოებს სწავლება საგნებისა ქართულად? სად არის ქართული მეცნიერება, ქართველნი მეცნიერნი, პროფესორნი და სხვა თავისუფალ პროფესსიის ხალხნი ან მოხელენი, რომ ქართული იცოდნენ? არსად, არსად! თითო-ოროლას თუ შეხვდებით, რომ იცოდეს ქართული, შეეძლოს წერა ქართულად, შერჩენოდეს სიყვარული ქართულისა, თვისის დედა ენისა. უმრავლესობა კი ვეღარც ლაპარაკსა და მსჯელობას ახერხებს ქართულად, ვეღარც წერას.

რამდენჯერ გვინახავს, რომ უმაღლეს სწავლა-დამთავრებულს მოკითხვის წერილი ვერ დაეწეროს ქართულად, არამც თუ საგაზეთო ან საჟურნალო წერილი. რამდენი ადვოკატი, მკურნალი, პედაგოგი და მოხელეა, რომ არამც თუ წერა ქართულად, ლაპარაკიც ვერ მოუხერხებია, გლეხისათვის რიგიანად ვერ გაუგებინებია, როგორ გადაწყდა მისი საქმე სასამართლოში, ან რა ავადმყოფობაა მისი ავადმყოფობა და როგორ უნდა მოუაროს თავს, რომ მორჩეს, გასაღდეს.

ღმერთო შეგცოდე, მე ისიც მინახავს და იმის მომსწრეცა ვარ, რომ მწერლობის საქმეში მდგარან და სდგანან დღესაც ისინი, რომელთაც დედა-ენა ისე ძლივს იციან, როგორც მეოთხე და მეხუთე კლასის რუსმა შეგირდმა იცის. კიდევაც ნაკლებად. ენაც რომ იცოდეს ისე, გრამატიკა მაინც არ ეცოდინება მეორე და მესამე კლასის შეგირდებზედ უკეთესად. იქნება ისიც კი არ იცოდეს, რა არის ბრუნვა, რა არის კანკლედობა, სახელი არსებითი და სხვა საგრამატიკო ტერმინები. დედა-ენის ღრმა ცოდნას ხომ საიდან მოსთხოვთ, როცა ლიტერატურა არ იცის ქართული, არა წაუკითხავს-რა ქართულად, «ვეფხის ტყაოსანი» მარტო ოდენ ზღაპარი ჰგონია, სახარების ენა, საზოგადოდ დაბადების წაკითხვა უმწვერვალესი კლერიკალიზმი ჰგონია, როცა «ქართლის ცხოვრების» გადაშინჯვა წარსულში ცქერად, არქივის ჩხრეკად, არქეოლოგიურ სისულელედ, უაღრეს რეტროგრადობად მიაჩნია.

მარამ კმარა. ნუ ავღელდებით, თორემ შეიძლება ისეთი რამ გადავშალოთ, რომ მკითხველმა პირი დაალოს და გაშტერებული დარჩეს.

ისევ «დაშთენილსა მის სიტყვისა მიმართ ალვიდეთ», მემატიანესი არ იყოს.

იმას მოგახსენებდით, ასეთია ჩვენი გარემოება და ამისთანა გარემოებაში რა მომოხერხდება, რა გაკეთებულა იმაზედ მეტი რაც კეთდება? არაფერი. ისიც საკვირველია, რაც გაკეთდება; რაც კეთდება, ან ის კი როგორ გაკეთდა, როგორ კეთდება! დიდება შენთვის ღმერთო, დიდება შენთვის! სწორედ სასწაულთმოქმედებაა; სკოლაში ქართულის სწავლება თითქმის სულ მოსპობილია და იქ არა გვეკითხება რა; ეკკლესიაშიც თითქმის აგრედვეა; თავად-აზნაურობა გალარიბებისაკენ მიისწრაფვის, სამღვდელოება უძალო და ულონოა, მოხელეობა არაფერი დიდი ნუგეშია, გლეხკაცობა სიბნელეშია. რაღა დარჩა? ვაჭარი ხალხი მცირეა და ისიც დასავლეთ საქართველოში თუ, თორემ აღმოსავლეთისაში ქართველობა ნაკლებად მისდევს ვაჭრობას, რომელიც უცხო-ტომის ხელშია და ეს უცხო ტომი რად გაიცხელებს ჩვენის საქმისათვის თავს, ჩვენის ამა თუ იმ დაწესებულებისათვის, მწერლობისა და ჟურნალ-გაზეთობისათვის.

მაშ, ვინ იდვა თავს საქმე და ზრუნვა ქვეყნის მსახურებისა, მწერლობის წარმატებისა. დედა-ენის აღორძინებისა? ვინა და იმ ერთმა მუჭა ღარიბმა და ღატაკმა ინტელიგენციამ, იმ თითო-ოროლა გულ-შემატკივარმა, რომელთაც გული უძგერს ქვეყნის ნამდვილის სიყვარულით, რომელთაც ქვეყანამ არა მისცა-რა და მათ კი ყოველივე მისცეს თავიანთ ქვეყანას: თვისი ჯანი, თვისი ნერვები, თვისი სული და გული. მისცეს ყოველივე თვისი არსება და განვიდნენ ამ სოფლით ისეთივე შიშველნი, როგორც დაჰბადა იგინი დედამან მათმან.

დიაღ, ჩვენის მწერლობის აღმატებისა და აღორძინებისათვის არა ჰზრუნავდნენ და დღესაც არა ჰზრუნავენ არც ბრწყინვალე თავად-აზნაურნი, რომელნიც ანაწილებენ ბანკის მოგებას სხვა და სხვა საჭიროებისათვის, არც ბრწყინვალე გენერლობა და მოხელეობა, არც მაძღარი და ბედის მადლიერი ჩარჩი და ვაჭარი.

მისი აკვანი მუხლის ძირას უდგა, ვიმეორებ, ისევ ღარიბ-ღატაკ ერთს მუჭა ჯგუფს ჩვენის ინტელიგენციისას. თვით მშიერი და მწყურვალი, სცდილობს არა მოაკლოს-რა ჩვილს სალიტერატურო ყრმას და აღზაროდს თვისდა სასახელოდ და ქვეყნის სადიდებლად.

სად არის გამკითხველი, სად არის მსაჯული, თვისის განსჯითა და განკითხვითა?! სად არის მსაჯული, რომ არ მოევლინება ივერიის სულით დაცემულს, გაოთარბეგებულს, გათახსირებულს ძეს, არ დასცემს ცეცხლის მახვილს მართლ-მსაჯულებისას სამშობლო ქვეყნისა, ენისა და რჯულის ღალატისათვის, თვისთა სისხლთა და ხორცთაგან განდგომისათვის!?

მაგრამ მოვა დრო—და ეგ დრო შორს აღარ არის,—რომ დადგება ეგ წუთი განკითხვისა. მაშინ გამოჩნდება, ვინ სჭამდა ალალ-მართლობით პურს თვისის ქვეყნისას და ვის უნდა შეერგოს შხამად დედის ტკბილი რძე!

X.

ჟიანებსო. ნაფიცმა მსაჯულებმა დამნაშავედ იცნეს ყოვლის უშალავათოთ. კრივუშს უვადო კატორგა გადაუწყვიტეს. როცა საქმე ირჩეოდა, კრივუშა გაჩუმებული იყო და კითხვებზე პასუხს არ იძლეოდა. ხოლო განაჩენი რო მოისმინა, მაშინ კი ფერი ეცვალა.

**ჟმერინკა.** ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე აქ მობრძანდნენ დილის 10 საათზე.

## საღამოს დეპეშები

20 დეკემბერი.

**ტოკიო**, 19 დეკემბ. (რეიტ.). იპონიის მისიას ლონდონში დეპეშა მისვლია, რომ პორტ არტურის გარშემოდგომილმა ჯარმა ააფეთქა სუნშუშანის სიმაგრის ბრუსტვერი და აიღო დილის 10 საათზედ იერიშითაო. 11 საათზედ მთლად სიმაგრეც იქმნა აღებულიო. რუს-მეციხოვნეთა ერთი ნაწილი უკუ იქცა მაღლობისაკენ სიმაგრის სამხრეთად, ხოლო მეორე ნაწილი დაიღუპა, რადგან აფეთქების დროს ზვავი ჩამოწვა და მიწამ დაიტანა.—ჩამოქცეულ მიწიდან ამოუღიათ ორი რუსთა ოფიცერი და 160 ჯარის კაცზედ მეტი. ყველანი ტყვედ იქმნენ წაყვანილნი. იმათა სთქვეს, რომ 150 რუსი კიდევ სხვა დაიტანა ჩამონგრეულმა მიწამაო. 18 დეკემბერს იაპონიის ჯარმა, რომელიც პანლუნშანის სიმაგრის აღმოსავლეთ კოშკის ასაღებად მოქმედებდა, ააფეთქა ძველის ციხის გალავნის ერთი ნაწილი.

**ჟმერინკა**, 19 დეკ. ხელმწიფე იმპერატორი წაბძანდა 11 საათისა და 45 წუთზედ.

**ჟმერინკა**, 19 დეკ. ხელმწიფე იმპერატორი მობრძანდა დიდის მთავრის მიხეილ ალექსანდრეს-ძის თან ხლებით. 10 საათზედ იმპერატორის მატარებელი მივიდა მდიდრულად მორთულ ფარდულთან, სადაც თავი მოიყარეს სამხედრო და სამოქალაქო უწყების უმაღლესმა წარმომადგენლებმა და დეპუტაციებმა. ხელმწიფე იმპერატორმა მიიღო რაპორტი კიევის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალ სუხომლინოვისაგან, მიბრძანდა დეპუტაციებთან, რომელთაც პურ-მარილი მიართვეს და სალამი მოახსენეს სათაყვანებელს მონარქს შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავარი ბრწყინვალე ამალით ჯარების დასათვალიერებლად წაბრძანდნენ. ჯარებმა, დათვალიერების შემდეგ, ცერემონიალის მარშით გაიარეს. სალაშქროდ იყვნენ მთლად გამზადებულნი და ღირს იქმნენ მეფის მადლობისა. ხელმწიფე მოწყალებით ემუსაიფა პოლკების უფროსებს, მიულოცა ოფიცრებს ლაშქარში წასვლა და დალოცა ჯარები ხატებითა. დალოცვის შემდეგ თითო ხატი აჩუქა პოლკის თითოეულს უფროსს და ღირსს ჰყო მოწყალედ საუბრისა, მადლობა გადუხადა, ჯარის კაცნი ყოჩაღათ გამოიყურებიანო. უსურვა ჯარს სახელის მოხვეჭა და გამარჯვება სამშობლოს დაცვის საქმეში და უსურვა, მშვიდობით და ჯანმრთელად დაბრუნებულიყოთ სიხლშიო. გაისმა ძახილი „მზადა ვართ ვეცადნეთო“. ჯარების დათვალიერებამა და დალოცვამ ორს საათს გასტანა. მალე ხელმწიფე ვაგონისკენ გაემართა. ხალხის აღტაცება დიდი იყო. როცა მატარებელი დაიძრა, აღტაცებით უსურვეს მშვიდობით მგზავრობა მის იმპერატორებითს უდიდებულესობას.

**ვაშინგტონი** (რეიტ.). დეპეშა ნორფოლკიდგან (ვირინგიას შტატი) იუწყება, რომ 20 დეკემბერს მიდისო გემი «ადრია» გამბურგში. სხვათა შორის მიაქვს ორი წყალქვეშ მავალი ნავი მაგრამ არავინ იცის სად უნდა მიიტანოსო. როგორც ფიქრობენ, გამბურგში ნავებს ჩააბარებენ რუსეთს.

**ჩიფუ.** (რეიტ.) 20 დეკემ. მოვიდა დიდი 4 ბუხრიანი რუსის კონტრ-ნაღმოსანი. როგორც ეტყობა ცოტათ არის დაზიანებული. იაპონელების გემები მოსდევდნენ და ყუმბარებს ესროდნენ. კონტრ-ნაღმოსანი შეიარაღებული რაზმი ბრძანებას ელოდება. ცეცხლი ჩამქრალია ღუმელებში. კონტრ-ნაღმოსანი ნაპირთანა სდგას ღუზაზე. პორტ არტურიდგან მოსული შიკრიკი დეპეშებით იუწყება, რომ იაპონელები ცდილობენ გზა მოუჭრან ლიაოტეშანს და სხვა ციხის ნაწილებს მოაშორონო. 500 კაცისაგან შემდგარი რუსის რაზმი ვაჟკაცურად ეწინააღმდეგება მტერს. 12 დეკემ. ღამით იაპონელები მტრედის ნავთსადგურთან ს. გინგიატუნს მიუხდნენ. იაპონელთა ქვეითა ჯარი იერიშის მიტანას შეუდგა, მაგრამ ამოსული მთვარის შუქმა გასცა და იძულებულნი იყვნენ უკან გამობრუნებულიყვნენ, მაინც საყურადღებო ცნობები შეიძინეს ადგილ-მდებარეობაზედ, რამაც ხელი გაუმართათ მიხდომოდნენ 13 დეკემ. დილით ხელახლა პირდაპირ მიტანილი იერიშის დროს იაპონელები დიდათ დაზარალდნენ, მაგრამ გვერდიდგან მიტანილი იერიში გამარჯვებით დასრულდა.—რუსები იძულებულნი იყვნენ უკან გაბრუნებულიყვნენ.

15 დეკემბერს ღამით იაპონელები წინ მიიწევდნენ და ფეხდაფეხ მისდევდნენ მტერს ს. ჩიანგატუშანში, რომელიც გინგიტუნიდგან რამდენიმე ასი მეტრის მანძილზე მდებარეობს,—მაგრამ იძულებულნი იყვნენ რუსის ტყვიის-მფრქვეველთა საშინელი ცეცხლის მიზეზით უკან გაბრუნებულიყვნენ. რუსებმა დაჰკარგეს ნახევარი გმირი ამხანაგები, რომელნიც გამაგრებულ ადგილს იცავდნენ და 500 კაცამდე იყვნენ. ფიქრობენ, რომ ყველა ამ ომების დროს იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათო.

იაპონელთა არტილერია ზარბაზნებს უშენს ლიაოტეშანს.

**ტოკიო.** 19 დეკემ. (რეიტ.) მესამე ლაშქრიდგან დეპეშა: იაპონელთა შუაგულის ჯარმა განდევნა რუსები და დაიპყრო ახალი პანლუნშანის ციხე, ეგრეთვე ერლუნშანსა და X ციხის შუა მდებარე ადგილი. მარჯვენა ფრთეს რაზმმა დაუშინა ზარბაზანი და განდევნა რუსები, თუმცა თავგამეტებით იბრძოდნენ. იაპონელთა რაზმმა დაიპყრო ხაუსანიანტაოს სამხრეთით მდებარე სიმაღლეები.

**ჩიფუ.** 20 დეკემბ. (რეიტერი). რუსის ნაღმოსნები «სკორი», «სტატნი», «ვლასტნი» და «სერდიტი» დიდ ნავთან ერთათ მოვიდნენ აქ და მოიტანეს დაბეჭდილი პაკეთით დეპეშები.

**პეტერბურგი.** გენერალ-ადიუტანტის სტესსელის დეპეშა მის იმპერატორებითს უდიდებულესობის სახელობაზედ 30 ნოემბრის თარიღით: 1) «იაპონელებმა მაღალ მთის აღების შემდეგ 11 დიუმიანი ყუმბარები დაუშინეს ჩვენს საავადმყოფოებს, სადაც დაჭრილნი წვანან. დღეს მე-9 საავადმყოფო ძალიან დაზიანდა. უფროსი ექიმი კრჟივეცი დაიჭრა, მაგრამ თავის საქმეს მაინც თავი არ დაანება ამ უკანონო ქცევის შესახებ იაპონელთა ჯარის უფროსს, გენერალ ნოგის წერილი მივწერე. ჩემდამი მინდობილი ჯარი კარგ გუნებაზეა». 2) 5 დეკემბრის თარიღით: დღეს, ღამით, 2 საათზედ იაპონელებმა ციხის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ სიმაგრეთა ერთი ფორტის ბრუსტვერი ააფეთქეს და მაშინვე იერიშით წამოვიდნენ. 4 საათზედ იერიში მოვიგერეთ. აფეთქებულ ფორტებზედ 2 დეკემბერს მოკლულ იქმნა გენერალ კონდრატენკო. ახალ ქალაქში მე-9 და მე-10 საავადმყოფოები და ჩინეთის ბანკი ძალიან დაზიანებულია. დამცველნი ჩინებულ გუნებაზედ არიან. ყველა გმირია». 3) 6 დეკემბრის თარიღით: «დიდო ხელმწიფევ! ბედნიერ ვართ თქვენი სახელწოდების დღე მოგილოცოთ პორტ არტურიდან, რომელსაც ღვთის შეწევნითა და თქვენის ლოცვით მეთერთმეტე თვეა ვიცავთ. ჩვენი მებრძოლნი ფრიად საუცხოვო გუნებაზედ არიან. დღეს პარადის დროს ჩვენის მამა ხელმწიფის პატივსაცემლად გრიალით წამოთქმულმა «ურა»-მ დაამტკიცა თქვენის უდიდებულესობის მეფობის დიდი ძალა და ჯარის ერთგულება თავის მამა ხელმწიფისადმი.

გენ. ად. კუროპატკინის დეპეშა მის უდიდებულესობის სახელობაზედ 19 დეკემბრის თარიღით: «17 დეკემბერს სოფელ ლინშინპუს მიდამოებს იაპონელებმა საშინლად დაუშინეს ზარბაზანი. ჩვენმა ბატარეიებმა შესაფერი პასუხი გასცეს. ჩვენ მოგვიკლეს 2 ჯარის კაცი, დაგვიჭრეს 11 და გაგვიკაწრეს 2.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი:

სახალხო ბიბლიოთეკები.

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა».

**ტ ფ ი ლ ი ს შ ი:**

1) სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში. ღია არის
დილის 10—2 საათ.
საღამ. 5—7 „
კვირა-უქმეს—დილ. 11—1 „

2) ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131. ღია არის
დილით 10—2 საათ.
საღამ. 5—9 „

3) ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19
ღია არის დილით 10—2 საათ.
საღამ. 5—8 „

## საავადმყოფოები:

**ქალაქის სახაზინო საავადმყოფო**,—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო**—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა.**—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

**კუკიისა**—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

**თვალების სამკურნალო**—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის ამსრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის**—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის** საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

**ქალაქის უფასო ღამის თავშე-საფარი სახლები:**

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ძელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

## განცხადებანი

წყნეთის ქუჩის თავში, გაბაშვილის სახლში, სადაც მილის წყალის ონკანია გაიმართა

**საგასტრონომიო მაღაზია**

# გერმანია

იყიდება საუკეთესო საუზმეულობა, თევზეული და შემწვარ-მოხარშული ქათამი და ინდოური. შეიძლება შემოკვეთა ინდოურისა დამდეგ ბედნიერ დღეებისათვის.

(5—2)



**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**

**„ოდობრინი“ მ. კ. ლებედევის“**

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბზერას და მეტ-ხორცსძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(0—6—16)

გამოვიდა და იყიდება

# კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში გ-6 დავ. ნახუცრიშვილს (3—3)

◆ **სადღესასწაულო საჩუქარი** ◆

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიაში

**«ქართველ ქალთა წრის»** მიერ გამოცემული

# „ზღაპრები“

წიგნში მოთავსებულია მხატვრის ო. შმერლინგის მიერ დასურათებული ჩვიდმეტი ხალხური ზღაპარი. წიგნი დიდის ფორმატისაა, შეიცავს 160 გვერდს და ღირს 1 მანეთად 30 კაპ.

გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილის 5 მოქმედ დრამა-ლეგენდა

# ლალატი,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წიგნი დაეთმობა ორ აბაზად, აგრეთვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

# ქართული რუკა

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

ვისაც უნდა დაიკვეთოს 1905 წ.

# კალენდარი (სათვეო)

**„ცოდნა“**

**მიჰმართონ სოსიკო მერკვილაძეს.**

◆ კალენდარი ჰღირს ორ შაურად ◆

ვინც ერბაშად ასს ცალზე მეტს იყიდის, კალენდარი დაეთმობა

**ექვს-ექვს კაპეიკად.**

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი, № 12.

ფოსტით: მისამართი Тифлисъ Книжный магазинъ „ЦОДНА“.

(10—10)

**პირველად ქართულს ენაზე**

ყველასათვის **საჭირო** და **სასარგებლო** წიგნი

# უცხო სიტყვათა ლექსიკონი

რომელშიაც შეკრებილი და განმარტებულია ათი-ათასამდე უცხო სიტყვა ყველასთვის გასაგების ენითა და მაგალითებით, რუსულისა და უცხო ენათა საუკეთესო ლექსიკონებისა, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ. წიგნს დართულ აქვს ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხ. **«უცხო ანდაზები და წინადადებანი»**, რომელიც არა ერთ გზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს მხოლოდ ერთი მან., ჩვეულებრივის ყდით 1 მ. და 15 კაპ., საუცხოვო (ოქროს ვარაყიან ასოებით დაბეჭდილი) კალენკორის ყდით მანეთ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 20 კაპ.; წიგნი ფას-დადებითაც (съ налож. пл.) შეიძლება გაიწერონ. უმთავრესი საწყობია ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, გამომცემლის წიგნთ-სავაჭროში. ადრესი: Тифлисъ. Книжная торговля, Іос. Зах. Имедашвили.

(10—10)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1905 ГОДЪ

НА ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ еженедѣльный журналъ

# ВОКРУГЪ СВѢТА

ВЪ ТЕЧЕНІЕ ГОДА ПОДПИСЧИКИ ПОЛУЧАТЪ:

**50** №№ ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНАГО ЖУРНАЛА.
Путешествія.—Этнографія.—Романы и повѣсти, изображающіе разныя приключенія на сушѣ и на морѣ.—Очерки и разсказы.—Стихотворенія.—Спортъ.—Картины.—Иллюстраціи.—Портреты. 1.200 столбцовъ текста.

**12** №№ ЕЖЕМѢСЯЧНАГО МОДНАГО ЖУРНАЛА съ изящными, но общедоступными дамскими и дѣтскими нарядами.

**12** образцовъ ИЗЯЩНЫХЪ ДАМСКИХЪ РАБОТЪ по лучшимъ русскимъ и иностраннымъ образцамъ.

ВЪ КАЧЕСТВѢ ПРЕМІЙ ПОДПИСЧИКАМЪ „ВОКРУГЪ СВѢТА“ БУДЕТЪ ДАНО

**БЕЗПЛАТНОЕ ПРИЛОЖЕНІЕ**

ДВА ЧРЕЗВЫЧАЙНО ЦѢННЫХЪ и БОГАТЫХЪ ИЗДАНІЯ.

**1** ТОМЪ въ 375 стр. „МЫСЛИ МУДРЫХЪ ЛЮДЕЙ“: Эпиктета, Діогена, Марка Аврелія, Сократа, Конфуція, Будды, Лао-Тсе, Аристотеля, Платона, св. Августина, Паскаля, Руссо, Спинозы, Канта, Шопенгауэра, Достоевскаго, Рёскина и мн. др. на каждый день собранныя знаменитымъ писателемъ **Львомъ Николаевичемъ ТОЛСТЫМЪ.**

**24** ТОМА ИСТОРИЧЕСКИХЪ РОМАНОВЪ (въ 150—200 печатныхъ листовъ) **Александра ДЮМА** (отца), куда войдутъ шесть произведеній знаменитаго романиста: Графъ Монте-Кристо.—Виконтъ де-Бражелонъ.—Двѣ Діаны.—Королева Марго.—Графиня де-Монсоро.—Сорокъ пять. Подписчики „Вокругъ Свѣта“ получатъ ихъ въ полномъ видѣ, безъ какихъ либо сокращеній. Въ отдѣльной продажѣ романы Дюма стоятъ 15 руб. Выданные ранѣе въ премію „Вокругъ Свѣта“ и вышедшіе затѣмъ отдѣльнымъ изданіемъ при цѣнѣ въ 3 р. романы Три мушкетера и Двадцать лѣтъ спустя высылаются годовымъ подписчикамъ нашего журнала за 1 р.

Кромѣ того, съ приплатою **одного рубля**, подписчики «Вокругъ Свѣта» **получатъ**

**НЕБЫВАЛУЮ ПРЕМІЮ:**

богатую художественную галлерею стѣнныхъ картинъ —

**Война и ея герои,**

**12** ОЛЕОГРАФІЙ, т.-е. художественно исполненныхъ во множествѣ красокъ картинъ и портретовъ (размѣромъ каждая въ 40×52 сант.), посвященныхъ наиболѣе величественнымъ и потрясающимъ событіямъ войны Россіи съ Японіей и воспроизводящихъ съ мельчайшими подробностями выдающіеся моменты кровавой грозы на Дальнемъ Востокѣ. **КАРТИНЫ:** Наша армія и флотъ.—На сушѣ и на морѣ.—Выдающіеся бои, стычки, схватки, штурмы и т. д.—Мирная работа подъ грохотъ пушекъ.—Коварный врагъ.—Взрывы и гибель судовъ.—Доблестн. подвиги русск. оружія.—Защитники величія Россіи: Куропаткинъ, Стессель и др. военач.

| | | |
|---|---|---|
| **4 р.** ЦѢНА НА ГОДЪ безъ картинъ Война и ея герои съ перес. и доставк. | ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА: при подпискѣ 2 р., къ 1 апрѣля 2 р., къ 1 іюля 1 р. Адресъ: Москва, Петровка, д. Матвѣевой. Редакція журнала „Вокругъ Свѣта“. Изданіе Т-ва И. Д. СЫТИНА. | **5 р.** ЦѢНА НА ГОДЪ съ 12 картинами въ краскахъ Война и ея герои съ перес. и доставк. |

(2—2).

Дозволено цензурою Тифлисъ, 20 декабря, 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи